



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ

14/05/2018

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №43/17

-- -- 2017 წლის 15 მარტის №-- , -- -- 2017 წლის 31 მარტის №-- და შპს „-- --“-ის 2017 წლის 11 მაისის №-- საჩივრების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა განმარტება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

№-- და №-- საჩივრების ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) და „ვ“ (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, კერძოდ, საჩივრის ავტორის განმარტებით 2016 წლის 23 თებერვალს მან (სს „--“ შპს „--“ დირექტორმა -- --) სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ. საჩივრის ავტორის მითითებით, მოპასუხე მხარის მიერ შესაგებლის კანონით დადგენილ ვადაში

წარუდგენლობის გამო სასამართლოს უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანის ეტაპზე (2017 წლის 15 მარტს) მიღებული არ ჰქონდა.

1.2 №-- საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, კერძოდ, საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 22 იანვარს შპს „-- --“-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 22 იანვრის შემდგომ სასამართლოს რაიმე საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2016 წლის 23 თებერვალს სს „--“ შპს „--“ დირექტორმა -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხის - 12 000 ლარის და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს თანხის - 996 ლარის (2016 წლის 16 თებერვლის მდგომარეობით) მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

სს „--“ შპს „--“ სარჩელი -- საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განსახილველად და მოსარჩელეს სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში 2 თვის ვადაში წარდგენა დაევალა (2016 წლის 29 თებერვლის აქტი).

2016 წლის 2 მარტს სს „--“ შპს „--“ დირექტორმა -- -- -- საქალაქო სასამართლოს წარუდგინა - 2016 წლის 1 მარტს მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, საფოსტო გზავნილი. შესაბამისად, მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 11 მარტი.

2016 წლის 1 სექტემბერს სს „--“ შპს „--“ დირექტორმა -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები, თუმცა აღსანიშნავია რომ ეს მოთხოვნები სარჩელში იდენტური ფორმულირებით იყო ჩამოყალიბებული.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „--“ შპს „--“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე -- -- მოსარჩელე სს „--“ შპს „--“ სასარგებლოდ 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის და პირგასამტეხლოს თანხის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.1%, (რომელიც 2016 წლის 16 თებერვლის მდგომარეობით შეადგენდა 996 (ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტ) ლარს) გადახდა დაეკისრა; მოპასუხე -- -- მოსარჩელე სს „--“ შპს „--“ სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 390 (სამას ოთხმოცდაათი) ლარის გადახდა დაეკისრა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე - -- -- ჩაბარდა საჯარო შეტყობინების გზით (ვინაიდან, სხვა ფორმით მისთვის გზავნილის ჩაბარება ვერ განხორციელდა).

2017 წლის 20 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულ და შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2017 წლის 6 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2.2 2016 წლის 22 იანვარს შპს „-- -- -მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ. მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: --, სოფელი -- --; ს/კ: --.---.---) -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა.

შპს „-- -- -ის“ სარჩელი -- საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განსახილველად და მოსარჩელეს სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში 2 თვის ვადაში წარდგენა დაევალა (2016 წლის 1 თებერვლის აქტი).

2016 წლის 17 მარტს შპს „-- -- -ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ სარჩელის და თანდართული მასალების შემცველი გზავნილი მოპასუხეს -- -- მის ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართზე (რომელიც არის იდენტური) გაეგზავნა ორჯერ, თუმცა, მისი ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა. ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩასაბარებლად კანონით დადგენილი შესაბამისი ზომების განხორციელება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- რაიონულ სამმართველოს, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, მოპასუხის - -- -- სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება დაევალა.

2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- პოლიციის დეპარტამენტის -- რაიონული სამმართველოს -- განყოფილების უფროსმა -- საქალაქო სასამართლოს წარუდგინა -- -- 2016 წლის 9 ოქტომბერს გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი ოქმი და ხელწერილი. შესაბამისად, მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 17 ოქტომბერი (ვინაიდან, 2016 წლის 16 ოქტომბერი იყო უქმე დღე კვირა).

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „-- -- -ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა შპს „-- -- -ის“ კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე შემდეგ მისამართზე: --; სოფელი -- -- ს/კ --.---.---.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- რაიონულ სამმართველოს, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, მოპასუხის - -- -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარება დაევალა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის - - - - მიერ.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

2018 წლის 2 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლე -- -- მიერ წარდგენილი იქნა ახსნა-განმარტება, ასევე მოსამართლე გამოცხადდა საბჭოს სხდომაზე და დააფიქსირა თავისი მოსაზრება.

მოსამართლე ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ 2016-2017 წლებში უფლებამოსილებას ახორციელებდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე იხილავდა -- მაგისტრატი სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებს. ამასთან, ასევე იხილავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს და შუამდგომლობებს შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

მოსამართლე უთითებს, რომ 2016-2017 წლებში განსახილველად ეწერა 2521 სამოქალაქო საქმე, 205 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, 70 - შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა, 80 - სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადება. ამ პერიოდში განიხილა და დაამთავრა 1555 სამოქალაქო საქმე, 205 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, 70 - შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა, 80 - სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადება.

მოსამართლე აღნიშნავს, რომ გარდა ამისა, 2016 წლის თებერვლის თვეში მოსამართლე -- --, ხოლო აპრილის თვეში მოსამართლე -- -- შეუწყდათ სამოსამართლო უფლებამოსილება ვადის გასვლის გამო, რომლებიც ასევე უფლებამოსილებას ახორციელებდნენ -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. შესაბამისად, რამდენიმე თვის მანძილზე მხოლოდ მას ეწერებოდა სამოქალაქო საქმეები და უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობები.

შესაბამისად, მოსამართლე მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია მისი მხრიდან საქმეების განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას, ვინაიდან მითითებული ოდენობის საქმეების მართვა აღემატება ყოველგვარ ადამიანურ რესურსს.

4. დისციპლინური დევნის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან

უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3¹ პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

განსახილველი საქმე მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას (მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების ვალდებულება), ამდენად, საქმის განხილვის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში ორივე საქმესთან მიმართებაში მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებელი არ წარდგენილა, ხოლო შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა ერთ შემთხვევაში იყო 2016 წლის 11 მარტი, ხოლო მეორე შემთხვევაში 2016 წლის 17 ოქტომბერი. ამდენად, არსებობდა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან შესაბამისი სხდომის დანიშვნის საფუძველი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად - მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში შპს „---- -ის“ სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 22 იანვარს, ხოლო სს „--“ შპს „--“ სარჩელი 2016 წლის 23 თებერვალს, მოპასუხის მიერ სასამართლოსათვის შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა ერთ შემთხვევაში იყო 2016 წლის 17 ოქტომბერი (შპს „-- --“-ის საქმე), ხოლო მეორე შემთხვევაში 2016 წლის 11 მარტი (სს „--“ შპს „--“ საქმე). მოსამართლემ შპს „-- -- -ის“ საქმეში დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა - 2017 წლის 11 მაისს ანუ შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადიდან 6 თვის და 24 დღის შემდეგ, ხოლო სს „--“ შპს „--“ საქმეში - 2017 წლის 20 აპრილს ანუ ერთი წლის და ერთი თვის შემდეგ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ

დგინდება საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების შემთხვევა. არსებულ მოცემულობაში, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს. კერძოდ, 2016-2017 წლებში განსახილველად გადაცემული ქონდა 2521 სამოქალაქო საქმე, 205 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, 70 - შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა, 80 - სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადება. ამ პერიოდში განიხილა და დაამთავრა 1555 სამოქალაქო საქმე, 205 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, 70 - შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა, 80 - სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ამავე კანონის 75¹³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - საქმის განხილვის უსაფუძვლო ბრალეული გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და 75¹³ მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი